ხუთშაბათი, 1918 წ. მაისის 9 № 86

ყოველდღიური გაზეთი (?)

ხუთშაბათი, 1918 წ. მაისის 9 № 86

ასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

# საქართველო

რედაქცია

ხელნაწერთა მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ იბეჭდება. დაუბეჭდავი ხელნაწერთა მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კონტორა

პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირებს—18 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საქმიანი განცხადებანი უნდა მოტანილ იქნეს არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს.მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული გიმნაზია. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

# დღეს:

## ცნობები:

გერმანელებს ბათომში დესანტი გადმოუსხავთ. —ამიერ-კავკასიის სამშვიდობო დელეგაცია ბათომს მაისის 6 ჩავიდა.—ბათომის საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად გერმანეთის წარმომადგენლებიც მოსულან.—ვეხიბ-ფაშა იტყობინება: ოზურგეთის რაიონში ოსმალთა ჯარების მიერ დაჭერილ ადგილებს ბათომის საზავო მოლაპარაკების შემდეგ დაგითმობთო.—დღეს ეროვნული საბჭო განიხილავს საქართველოს კონსტიტუციის შედგენის საკითხს.

უკრაინიდან საბჭოთა ჯარები განდევნეს.—გერმანული პრესა კავკასიაში რამდენიმე რესპუბლიკის დაარსების გეგმაზე მსჯელობს.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, ნინო ივანეს ასული თავ. თუმანიშვილები და ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვარი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ძვირფას ქალის და შვილიშვილის

ცასო თუმანიშვილის

ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია პარასკევს აპრილის 27 (მაისის 10) ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი 2 საათზე.

2—1597—1

ნატალია ნიკოლოზის ასული შარაშიძისა, ივანე და მიხეილ ნიკოლოზის ძენი კვეზერელი-კოპაძენი ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა (23 აპრილს) 6 მაისს მათი დაუვიწყარი რძალი

თამარ ლუკას ასული კვეზერელ-კოპაძისა

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე საღამოს $6^1/_2$ საათზედ, საკუთარს ბინაზე (კახეთის ქუჩა № 22, გამოსვენება კვირას (29 აპრილს) 12 მაისს დილის 10 საათზე, ავლაბრის წმიდა მარინეს ეკლესიაში.

(2—1598—1)

დამწუხრებულნი ნინა გიორგის ასული და ნიკო გიორგის ძე ყრუაშვილები შვილებით; ბაბო გიორგის ასული და გერასიმე სიმონის ძე კვაჭაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ დის

ელენე გიორგის ასულ გაქრაძის

უდროოდ გარდაცვალებას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზედ. გამოსვენება 10 მაისს (27) დილით 10 საათზედ არაგვის ქუჩა, სახლი № 5.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეფა, დები: ტასო, საშა, ნინო, ევგენია, ძმა გიორგი და რძალი ნინო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასს და დაუვიწყარ შვილის და ძმის

ვასო მაჭავარიანის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 ს. გამოსვენება მაისის 10 ს, დილის 9 ს. საკუთარი ბინიდან (წყნეთის ქ. № 21) ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე დღეს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

გულ დამწვარნი გიორგი ნიკოლოზის ძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ (23 აპრილს) 6 მაისს გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე და დანარჩენების დაუვიწყარი დედა

თამარა ლუკას ასული კვეზერელი-კოპაძე

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ნახევარ საათზე, საკუთარს ბინაზედ კახეთის ქუჩა, სახლი 22. გამოსვენება კვირას (29 აპრილს) 12 მაისს დილის 10 საათზე წმიდა მარინეს ეკლესიაში (ავლაბარში).

(3—1598—1)

## ზავის პირობები

ექვს მაისს თბილისიდან გაემგზავრა ბათუმს საზავო დელეგაცია ა. ჩხენკელის მეთაურობით. ოსმალეთის დელეგაციას ამაზე ადრე მოელოდნენ ბათუმში. ამის შემდეგ იჭვი არ არის, რომ ბათუმის საზავო კონფერენცია დაჩქარებით შეუდგება მუშაობას.

აქამომდე არ არის გამორკვეული დღეისდღეობით თუ არა მონაწილეობას ამ საზავო კონფერენციაზე ოსმალეთის მოკავშირენი? ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან მარტო ოსმალეთთან შეუძლებელი იქნება ყველა იმ საკითხების გადაჭრა, რომელიც საზავო მოლაპარაკებას ეკისრება. ეს, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ მარტო ოსმალეთთან მოლაპარაკება ჩვენთვის საძნელო და საძნელო იყოს. ზავის და ომის საკითხი ამ ჟამად ამიერ-კავკასიას ოსმალეთთან აქვს მხოლოდ გადასაჭრელად და სხვა მის მოკავშირეებს ამ საგანთან პირდაპირი დამოკიდებულობა არ აქვთ. მაგრამ საზავო მოლაპარაკება, რომელსაც ეკისრება თვით ოსმალეთის დელეგაციის მიერ ტრაპიზონში მოცემულ ნოტაბით საბოლოვო ზავისა და მეგობრული კავშირის დამყარების საქმე, ჰგულისხმობს თავის თავად მონაწილეობას ყველა იმ სახელმწიფოებისა, რომელნიც ამ მსოფლიო ომში წარმოადგენენ ერთს მთლიანს სამხედრო და ეკონომიურს კავშირს.

ტრაპიზონის კონფერენციაზე ოსმალეთის მიერ წარდგენილი უკანასკნელი ნოტაც აღნიშნავდა ოთხთა კავშირის სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლების მონაწილეობას იმ საბოლოო საზავო მოლაპარაკების დროს, რომელსაც უნდა დამყარებულიყო ამიერ-კავკასიისა და ოთხთა კავშირს შორის საბოლოო ზავი და მეგობრული განწყობილება. ამისთვის ნოტა საპიროდ ალიარებდა ამიერ-კავკასიის დამოკიდებულების აღიარებას. დღეს ყოველივე ეს პირობები შესრულებულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბათუმის კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება ოთხთა კავშირი და კონფერენცია იკისრებს ყველა, არა მარტო სამხედრო, არამედ აგრეთვე ფინანსიურ-ეკონომიური საკითხების მოგვარებას.

შესაძლებელია ოსმალეთის მთავრობა ამ კონფერენციას უყურებს, როგორც ტრაპიზონის კონფერენციის მხოლოდ გაგრძელებას. ვინაიდან პირველი დელეგაციის უკანასკნელი ნაბიჯი შესახებ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის მიღებისა მთავრობის მიერ უარყოფილი იყო, იქნებ ოსმალეთის მთავრობამ საპიროდ მიიჩნიოს, რომ ახალმა დელეგაციამ დაადასტუროს და განმეორებით აღიაროს, რომ ის საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის პირობების ნიადაგზე, რამდენადაც ის შეეხება ამიერ კავკასიას.

თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენმა დელეგაციამ იქნებ უმჯობესად დაინახოს ამ ფორმალობის შესრულება და სხვა საკითხები კი გადაიდოს იმ დრომდე, სანამ ოთხთა კავშირის სხვა წევრებიც აღიარებენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას და მასთან მოლაპარაკებისათვის წარმომადგენლებს გამოგზავნიან.

ამ შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნება მრავალი სამხედრო საკითხების გადაჭრა და ფაქტიურად ზავის ჩამოგდებაც, ხოლო მთავარი საკითხები დარჩება საბოლოოდ გადაუჭრელად.

მაგრამ მოსალოდნელია, რომ ბათუმის საზავო კონფერენციაზე მთელი ოთხთა კავშირი იქნება წარმოდგენილი, როგორც ამას ოსმალეთის დელეგაციის უკანასკნელი ნოტა ჰგულისხმობს. ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ყველა იმ საკითხების გადაჭრა, რომელიც კი შეეხება ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს საზღვრებსა და ოთხთა კავშირის სახელმწიფოებთან სამხედრო საფინანსო და სავაჭრო დამოკიდებულობას. ჩვენ მეტად შორეული და ბუნდოვანი ცნობები თუ გვაქვს იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ოსმალეთისა და მის მოკავშირეების წინადადებანი ყველა ამ საკითხების შესახებ. ჩვენი მთავრობის სოციალისტური საგარეო პოლიტიკა კიდევ უფრო უცნაური გამოდგა, ვინემ საშინაო. ჩვენს მდგომარეობაში სხვა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელები ახალი თვალები და ყურები გამოებმოდათ, დაიწყებდნენ თავის მოპირდაპირის ზვერვას, დიპლომატიური აგენტებისა თუ პრესის საშვალებით მისი განზრახვებისა და სურვილების გამოაშკარავებას და მოსალოდნელ წინადადებებს განიხილავდნენ და შესაფერს პასუხს დაუმზადებდნენ. ჩვენი საგარეო პოლიტიკა კი თვალ ახვეულია და უდარდელად მიჰყვება ცხოვრების სტიქიონს. ჩვენმა რევოლიუციონურმა დიპლომატიამ თავის მოწინააღმდეგეთ განზრახვების შესახებ მხოლოდ ის იცის, რომ ისინი იმპერიალისტურია და საგარეო საკითხებსაც ისევე, როგორც სამხედრო და საშინაოს ხმლის აწევით სწყვეტენ.

ერთი რამ სავსებით გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს: ბათუმის საზავო კონფერენცია, უწინარეს ყოვლისა, ბათუმისა და ბათუმის მხარის ბედს უნდა შეეხოს და შესაძლოა ეს გახდეს საზავო მოლაპარაკების მთავარი დერძად. ეს გასაგებია, ვინაიდან ყველასათვის ცნობილია ამ მხარის მნიშვნელობა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთლად ამიერ-კავკასიისათვის. ჩვენ ვერ შევურიგდებით ამ მხარის საბოლოვოდ ჩვენი საზღვრებიდან ამოჭრას არა მარტო იმიტომ, რომ აჭარა, ყოველივე მისი მოქმედების მიუხედავად, საქართველოს ეროვნული სხეულის ცოცხალი ნაწილია, არამედ აგრეთვე იმიტომაც, რომ ეს კუთხე ერთადერთი საიმედო გზა და ასპარეზია ჩვენი და მთელი ამიერ-კავკასიის ეკონომიური განვითარებისათვის.

ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების დროს ჩვენმა დელეგაციამ მიიღო ოსმალთა მოთხოვნილება, რომ საზავო მოლაპარაკებას საფუძვლად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა დასდებოდა. ამ ხელშეკრულობის მეოთხე მუხლი ამბობს: „არტაანის, ყარსის და ბათუმის ოლქები აგრეთვე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს რუსის ჯარებისაგან. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების საერთაშორისო პოლიტიკურ დამოკიდებულების საქმეში, არამედ მიანდობს ადგილობრივ მცხოვრებთ პოლიტიკური წყობილების დამყარებას მეზობელ სახელმწიფოებთან, კერძოდ ოსმალეთთან შეთანხმებით". ამ ხელშეკრულობის ძალით ამ ოლქების პოლიტიკური წყობილება უნდა დაემყარებინა ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილისამებრ ჩვენსა და ოსმალეთს შორის შეთანხმებით, ვინაიდგან „ადგილობრივ სახელმწიფოებად" ხელშეკრულობით იგულისხმება ყოფილი ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი ერთეულები, რომელნიც ბრესტის მოლაპარაკების დროს უკვე ისახებოდა. ოსმალეთის დელეგაციამ ულტიმატუმი წარუდგინა ჩვენს დელეგატებს, რომ მათ ბრესტის ეს მუხლი ეცნოთ. ჩვენმა დელეგაციამ ამაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ ამიერ-კავკასიის მთავრობამ ეს შეუძლებლად მიიჩნია და დელეგაცია გამოიწვია. ოსმალეთის დელეგაციას თავის მოთხოვნილებაზე ოფიციალური პასუხი არ მიუღია და სამხედრო განწყობილება დამყარდა იმის გამო, რომ ოსმალეთმა ულტიმატუმით განსაზღვრულ დროში დადებითი პასუხი ვერ მიიღო. ამის შემდეგომ ოსმალეთმა განაახლა საომარი მოქმედება და იარაღით დაიპყრო ბათუმის მხარე და თვით ბათუმიც. ამავე დროს ამიერ-კავკასიის ძველი მთავრობა გადადგა და მთავრობა ჩაიბარა ტრაპიზონის დელეგაციის თავმჯდომარემ, რომელმაც თვით ტრაპიზონშივე შესაძლებლად დაინახა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის მიღება.

ყოველივე ამის შემდეგომ, ჩვენ არ ვიცით როგორს საფუძველზე იწარმოებს მოლაპარაკება ბათუმისა და ბათუმის მხარის შესახებ. იხელმძღვანელებს ოსმალეთი ბრესტის ხელშეკრულობით, რომლის აღიარებას ის ჩვენგან მოითხოვდა, თუ მის მოლაპარაკების საფუძვლად გახდება ius bellum და ამ მხარის ბედს საბოლოოდ გადაწყვეტილად მიიჩნევს?

ოსმალეთის ჯარების მთავარ-სარდალი კავკასიის ფრონტზე ვეხიბ-ფაშა თავის უკანასკნელს დეპეშაში ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელზე გამოთ-

ქვამს დაპირებას, რომ ოსმალო ჯარის ევაკუაცია მოხდება ოზურგეთის რაიონიდან 1877—78 წლების საზღვრებს აქეთ, როგორც კი სასურველად დამთავრდება ბათუმის მოლაპარაკება. 1878 წ. საზღვრები სავსებით ეთანხმება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის საზღვრებს, მაგრამ ეს რასაკვირველია კიდევ არ მოასწავებს, რომ ოსმალეთის დელეგაცია სავსებით იმ ნიადაგზე აწარმოებს მოლაპარაკებას, როგორც ამას ტრაპიზონში მოითხოვდა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ოსმალეთი და მისი მოკავშირენი ჩვენი ქვეყნის მიმართ არ იხელმძღვანელებენ მხოლოდ თავის სამხედრო ძალით და უპირატესობით, არამედ შეეცდებიან ისეთი განწყობილების დამყარებას, რომელიც უზრუნველ ყოფს ამიერ კავკასიის მშვიდობიან განვითარებასა და მის ოთხთა კავშირთან მეგობრულს განწყობილებას.

სამხედრო ძალით ოსმალეთს დღეს იქნებ მთელი კავკასიის დაპყრობაც შეეძლოს, მაგრამ იარაღით არ დამყარდება ჩვენს ქვეყანაში ხანგრძლივი მშვიდობიანობა და ისეთი მოქალაქობრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველ ყოფს ამიერ კავკასიის სახელმწიფოებრივ განვითარებას.

თუ ოსმალეთი და მისი მოკავშირენი დაინტერესებული არიან, რომ საქართველო და ამიერკავკასია არსებობდენ, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეულები, მათ არ უნდა მოუსპონ ამ ქვეყნებს მშვიდობიანი განვითარების გზა და ასპარეზი და არ უნდა ჩააყენონ ისეთს პირობებში, როცა მათი მოქალაქობრივი ცხოვრება გზაჩახშული იქნება.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს ქვეყანაში ოსმალეთსა და მის მოკავშირეთ გარდა საზღვრების გადაწევ-გადმოწევისა, სხვა ინტერესებიც მოეპოვებათ. ჩვენი მთავრობა უთუოდ მზად არის შესაძლებელ დათმობისათვის, მაგრამ ოსმალეთი და მისი მოკავშირენიც ასევე მზად უნდა იყონ კომპრომისისათვის, რომელსაც ეს მთელი ერის და მთელი ქვეყნის აუცილებელ ინტერესს შეიცავს.

ა. ახუთიანი.

## საჭიროა მკაცრი ზომები

ჩვენი სოციალისტური მთავრობა თავიდანვე უკან მოექცა ცხოვრების მსვლელობას და ერთი წელიწადია ამ გზით მიჩანჩალებს. ამ ერთის წლის განმავლობაში მათ ერთი სწორი ნაბიჯი არ გადაუდგამთ არც შინაურ მოქმედებაში და არც სხვა ერებთან, თუ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში. მაგრამ როდესაც მათი შეცდომების მძიმე შედეგები გამორკვეულა, მათ ყველა მიაჩნიათ ამის მიზეზათ, ხოლო თავისი თავი კი არასოდეს. ჩვენ არ შევუდგებით ამის მაგალითების აღნუსხვას. ყოველივე ეს მახლობელ დროის საქმეა და ყველას ახსოვს. სოციალისტური პოლიტიკის ერთი უბედურობა რომელიც რევოლუციის პირველს ხანებშივე დაიწყო, დღემდის არ სრულდება და ჩვენ ამას კიდევ უნდა მივაქციოთ მთავრობისა და საზოგადოების ყურადღება. ეს არის ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური მიმართულება, რომელმაც დიდი ხანია დაჰკარგა იდეური მიმდინარეობის ყოველგვარი ნატამალი და ხულიგანურ იარაღად იქცა იმათ ხელში, ვინც ვერ შეურიგებია ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას და მის ერთა თავისუფლებას.

დიდი ხანია ეს ხულიგანური მიმდინარეობა ებრძვის ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას, მის ერებს, მის თავისუფლებას მრავალჯერ ჰქონდა საშვალება ამ მიმართულების საბოლოოდ აღმოსაფხვრელად ჩვენი ცხოვრებიდან, მაგრამ მას ამისათვის საჭირო ზომებისათვის არასდეს არ მიუმართავს. გაზეთების დახურვა, შემდგომ ისევ ამის ახსნა, დაჭერა მეთაურებისა და მეორეხე დღესვე ისევ განთავისუფლება, ხან ვითომ დევნა და სასჯელი, ხან კიდევ შეურიგებლად ხელის გაწვდა და თხოვნა-მუდარაც კი დახმარებისათვის. მთავრობის ასეთი პოლიტიკის შედეგები დღეს ყოველთვის ნათელი უნდა იყოს. ანარქიამ და ხულიგანობამ ჩვენს ქვეყანაში ფეხი მოიკიდა და ყოველივე ეს „იდეურ" ბოლშევიზმის სამოსელში არის გამოხვეული. ამ ნიადაგზე აღმოცენდა გორის მაზრის საშინელება და ცხინვალის ამბოხება. ბაქოშ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ბაქოს ბოლშევიკებმა რამოდენიმეჯერ გაუმართეს ნამდვილი ომი მუსულმანთა იმ ნაწილებს, რომელნიც იფარავენ განჯისა და თბილისის გუბერნიას იმათ შემოსევისაგან. სამხედრო მოქმედების გარდა ბაქოს ბოლშევიკები დიდს ფარულს მუშაობას აწარმოებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში. ისინი სცდილობენ თავის მიზნებისათვის გამოიყენონ ყველა ის უკმაყოფილო ელემენტები, რომელნიც კი ამიერკავკასიაში მოიპოვება. სულ ერთია იქნებიან ისინი გახულიგანებული ჯარისკაცები, ყოფილი რუსის ჩინოვნიკები თუ სომხის ნაციონალისტები. მათ წინააღმდეგ მებრძოლ თათრებს არ მოეპოვებათ საკმარისი ძალები და სამხედრო მოწყობილობა. ამას წინეთ ხმა გავარდა, თითქოს თათრებს ბოლშევიკები საბოლოოდ დაემარცხებინოთ და ბაქო აეღოთ, მაგრამ ეს ცნობა არ გამართლდა. პირიქით ბაქოს ბოლშევიკები თურმე დიდს მზადებაში არიან.

ჩვენი მთავრობა აქამომდე მეტად ორპირულ პოლიტიკას აწარმოებდა ბოლშევიკების მიმართ. ეხლა უკვე ასეთი გზა მეტად სახიფათო იქნება არა მარტო მთავრობისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის. საჭიროა უსასტიკესი ზომების მიღება, რომ ბაქოს ბოლშევიკური მოძრაობის საბოლოო ლიკვიდაცია მოხდეს დაჩქარებით, დაუყოვნებლივ.

ყოველივე დაგვიანება მხოლოდ საბაბს მისცემს იმ ძალებს, რომელნიც ბაქოს ანარქიას და თათარ მცხოვრებთა განსაცდელს მიზეზად გამოიყენებს როგორც ბაქოს დასაწყნარებლად, ისე, შესაძლოა სხვა მიზნებისათვის.

ამას დიდი შორსმჭვრეტელობა არ უნდა და ეს ჩვენ დღევანდელს მეთაურებსაც მოეთხოვებათ.

## გაცრუებული იმედები

მიუხედავათ იმისა, რომ ამიერ კავკასია აღიარებულია სუვერენულ სახელმწიფოდ, ჩვენს პასუხისმგებელ წრეებში ჯერ კიდევ არ ჩამქრალა მიმდინარეობა, რომელიც იმედის თვალით იცქირება ჩრდილოეთისაკენ და შველასა და ხსნას ელის რუსეთის დემოკრატიისაგან. ოქტომბრის ამბოხების შემდგომ ყოველ დღიური გამოცდილება გვიმტკიცებდა, რომ ბოლშევიკურ მმართველობას, რომელსაც თითქმის მთელი რუსეთი თანაუგრძნობდა, არაფერი აქვს საერთო დემოკრატიულ მოძრაობასთან, პირიქით ბოლშევიზმის გაძლიერება ჰგულისხმობდა რეაქციის მოახლოვებას, რომლის უტყუარი სიმპტომები დღეს რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში უკვე მოიპოვება. თავის დროზედ ჩვენს გაზეთს ქართველი ხალხის ყურადღება მიუქცევია ბოლშევიკურ საფრთხეზე, კიდევ მეტი, ჩვენ აღვნიშნავდით, რომ საქართველოს და საზოგადოთ ამიერ კავკასიისათვის ყველაზე საშინელი მტერი არის რუსის ბოლშევიზმი, მაგრამ, სამწუხაროდ, გაფრთხილება ჩვენი სხვა გვარად ესმოდათ და ქართველ სოციალ-დემოკრატების ოფიციოზმა ამის გამო „ტურკოფილობა"-ც დაგვწამა.

სულ უკანასკნელ დრომდე ჩვენს სოციალ-დემოკრატებს რუსეთის დემოკრატიის აღდგენა მახლობელ დროში შესაძლებლად მიაჩნდათ; ქართველ ხალხს იგინი აიმედებდნენ, რომ რუსის ხალხი, მისი დემოკრატია თავს დააღწევს ბოლშევიკურ გიპნოზს და განახლებული ძალით შეუდგება დიდი რუსეთის შექმნასა და მოწყობას. თვით ბრესტ-ლიტოვსკის სამარცხვინო ხელშეკრულებამ ვერ გამოაფხიზლა ჩვენი მმართველი წრეები. აქ დარწმუნებული იყვნენ, რომ გამოცოცხლებული რუსეთი ისევ გააუქმებს ბრესტ-ლიტოვსკის ტრაქტატის ძალას, როგორც ეგრედ წოდებულ სახალხო კომისართა საბჭომ „გააუქმა" რუსეთის საფინანსო ვალდებულებანი მოკავშირე სახელმწიფოებთან.

როდესაც შექმნილ მდგომარეობამ ამიერ-კავკასია მტერთან პირისპირ დააყენა, როდესაც დიპლომატიურ და პოლიტიკურ საკითხთა გადასაჭრელად ჩვენ იძულებული გავხდით იარაღისათვის მიგვემართა, ჩვენი მმართველთა წრის უდიდესმა და გავლენიანმა ნაწილმა ისევ ძველ გზას მიჰმართა და კავკასიის გამყიდველებს აქტიური დახმარება სთხოვა ოსმალეთთან ბრძოლაში. იმ რამდენიმე ხანის განმავლობაში, როდესაც დასუსტებული და უდისციპლინო ქართული ჯარი მოზღვავებულ ოსმალთა ლაშქარს უმაგრდებოდა, რუსის ორიენტაციის მიმდევართ იმედი არ დაუკარგავთ, რომ შეიარაღებული რუსეთის დემოკრატია მედგრად შეუტევს მტერს და განაცხოველებს ძველს კავშირს სახელოვან კავკასიის დემოკრატიასთან, რათა შეერთებული ძალით განახორციელონ რევოლუციის დაგვიწყებული ანდერძი...

რა ბედი ეწია სოციალდემოკრატების მოწოდებას რუსეთის დემოკრატიისადმი? იმ დროს, როდესაც მტრის ზარბაზანთა ქუხილით ღრტვინავდნენ ამიერ-კავკასიის დაბა-ქალაქები და ქართული ჯარი უკან იხევდა, როდესაც ბრესტში გაყიდული ქართველი ერი რუსის დემოკრატიისაგან მტრისათვის გაძევებულ ტერიტორიისათვის სისხლსა ჰღვრიდა,—რუსის ხალხმა დახმარების ნაცვლად მასხარად აიგდო ამიერ-კავკასიის ამხანაგების გულითადი მოწოდება. ჩვენდამი მოწევნილ ცნობებით, რუსის დემოკრატიას კონტრ-მოწოდებანი გამოუცია და აუწყებს ხალხს, რომ საბჭოთა მმართველობის და რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის ინტერესი მოითხოვს კონტრრევოლუციურ და „მოშენიკურ" ამიერ-კავკასიის დაღუპვას. რუსის ხალხმა შველა კი არ უნდა აღუთქვას „გამცემლების" ბუდეს და კორნილოვ-კალედინცების მეგობრებს, არამედ სავსებით უნდა გაანადგუროს მოღალატე ქვეყანა! „ამხანაგებო"—მოუწოდებს რუსეთის დემოკრატია—„არც ერთი გროში ფული, არც ერთი გირვანქა პური და არავითარი დახმარება რევოლუციის მოღალატეებს... გვეყო გულჩვილობა, მივმართოთ ხიშტებს... მათი დაღუპვა გაკვეთილად დაჰრჩებათ რევოლუციის მტრებს".

ბედი მოწყალე გამოდგა: ამიერ-კავკასიის ხალხმა ბრძნული ნაბიჯი გადასდგა და 9 აპრილს საბოლოოდ მოჰშორდა „დემოკრატიულ და სოციალისტურ რუსეთს". ამიერიდგან ჩვენი ხალხი საკუთარ ფეხზე სდგას და აღარ საჭიროებს ჩრდილოელ ამხანაგების შველას. ოპეკუნების ხანა განვლო ამიერ-კავკასიამ,—სრულ უფლებიანი და თანასწორი იგი ერთვის სუვერენულ სახელმწიფოთა რიცხვს.

სეიმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოწოდება კი დარჩება როგორც ნიმუში სოციალისტურ მთავრობის გულუბრყვილობისა და სრული უნიათობისა.

რ. ინგილო.

## საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან

### ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაცია ბათომში.

მაისის 5-ს, ღამით თბილისიდან ბათუმისაკენ საგანგებო მატარებლით გამგზავრა ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაცია. დელეგაციას თავმჯდომარეობს აკაკი ივ. ჩხენკელი. დელეგაციის წევრები არიან: ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძე, მამედ-ჰასან გაჯინსკი, მამედ-ემინ-რასულ-ზადე, რ. ი. კაჩაზნუნი და ა. ი. ხატისოვი. დელეგაციაში შედიან აგრეთვე გენერალი ი. ზ. ოდიშელიძე, პოლკოვნიკი გ. გ. ყორღანოვი, პროფესორები: ი. ს. ლამბაროვი და ზ. ნ. ავალიშვილი, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროდან გიორგი ჟურული და ქიქოძე. ოსმალეთის დელეგაცია ვეხიბ-ფაშის თავმჯდომარეობით ბათომში მაისის 6-ს მოელოდნენ.

## ვეხიბ-ფაშას დეპეშა

ტრაპეზუნიდან ვეხიბ-ფაშისგან შემდეგი დეპეშა მოვიდა:

„ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრს და მინისტრთა თავმჯდომარე ჩხენკელს და მათ მაღალ-კეთილშობილებას (სამხედრო მინისტრ გენერალ ოდიშელიძეს. 1918 აპრილის 29 თარიღით მოწერილ წერილის დამატებად და თანახმად ცნობისა, რომელიც მივიღე მათ მაღალკეთილშობილების საიმპერატორო ლაშქრის ვიცე-გენერალისმუსისგან, მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ის ტერიტორია, რომელიც დაიპყრო ოტტომანის იმპერიის ჯარმა ოზურგეთის რაიონში რუსეთ-ოსმალეთის 1877—1878 წ. წ. საზღვრის იქით, დაცლილი იქნება ჩვენ მიერ და დაუბრუნდება ამიერ-კავკასიის მთავრობას მას შემდეგ, რაკი ბათომის სამშვიდობო მოლაპარაკება კეთილ შედეგებს მიაღწევს. კეთილ ინებეთ მიიღოთ, ბატონო მინისტრებო, ჩემი თქვენდამი დიადი პატივისცემა.

გენერალ-ლეიტენანტი ვეხიბ-მაჰმედ, კავკასიის ფრონტის მთავარ-სარდალი.

## მთავრობის ცნობა

### ომის ვითარების შესახებ

თბილისი. მაისს 7. „მთავრობის უწყება". ამიერ-კავკასიის მთავრობას შეძლება აქვს შემდეგი ცნობები გამოაქვეყნოს ჩვენს ფრონტზე მომხდარ ამბების შესახებ: მეორე დღესვე, რაკი ტრაპიზონში ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაციამ თანხმობა განაცხადა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობაზე ხელი მოეწერნა, ე. ი. ამა წლის 29 მარტს (11 აპრილს ახ. სტ.), ოსმალთა ჯარების ამიერ-კავკასიის მთავარსარდალმა ფერიკ-ვეხიბ-მეხმედმა დეპეშით შეატყობინა ბათუმის ციხის კომენდანტს საომარი განწყობილება შეეჩერებინათ და თუ სადამოს 6 საათამდე, 11 აპრილისთვის ციხიდან ბრძოლას განაგრძობენ, მაშინ განახლებული იქნება სამხედრო მოქმედებაო. თავის მხრით ამიერ-კავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელი სთხოვდა ციხის კომენდანტს, სამხედრო მოქმედება შეჩერებული ყოფილიყო. მიუხედავად ამისა ორივე მხრით მაინც სწარმოებდა კერძო სროლა. 30 მარტს (12 აპრილს) ოსმალეთმა ულტიმატუმი წარმოადგინა, რომლითაც მოითხოვდნენ, რომ რადგანაც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით ბათუმის ევაკუაცია უნდა მოხდეს და შიგ მყოფი ჯარებმა უნდა დასტოვონ 1877 წ. საზღვრებიო, ბათუმის გარშემო ფორტები, მთელი სამხედრო იარაღით, უნდა დაჭერილ იქმნენ ოსმალოთა ძალებითაო. ოსმალთა ჯარების სარდალი ხელახლად წინადადებას აძლევდა ციხე ნაწილდებულს 4 საათამდის დაეტოვებინათ, 31 მარტისთვის, (13 აპრილისთვის), წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა იერიშებს დავიწყებთო.

ერთს და იმავე დროს 31 მარტს (13 აპრილს) დელეგაციის თავმჯდომარემ ა. ი. ჩხენკელმა ორჯერ აცნობა ტელეგრაფით ბათუმში მყოფ შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ბათუმის ფორტების მშვიდობიან ევაკუაციას აუცილებლად სჭირდება მთელი რიგი საგულისხმიერო მოსაზრებით. ბათუმის ციხის კომენდანტმა ოსმალთაგან ითხოვა, რომ ულტიმატუმის ვადა კიდევ 24 საათით გაეგრძელებინა, რომ თბილისიდანაც მიეღო შესაფერი ბრძანებაო, მაგრამ ვეხიბ-ფაშამ ვადის გაგრძელება არ მოისურვა და ბათუმი აიღო იერიშით ღამით პირველიდან მეორე აპრილს. ფაქტიურად სამხედრო მოქმედების შეჩერების დაახლოვებით 48 საათ. განმავლობაში. ამასთანავე 31 მარტს (13 აპრილს) ღამით ამიერ-კავკასიის დელეგაცია მთავრობამ უკანვე გამოიხმო და 1/14 აპრ. თბილისისკენ წამოვიდა. სამხედრო მოქმედება ვითარდებოდა როგორც ზღვის ნაპირებზე, ისე ყარსის მიმართულებით, განსაკუთრებით ამ მეორე მხარეს. ამის მიზეზად ოსმალთა მთავარ სარდალი ა. ი. ჩხენკელის სახელობაზე გამოგზავნილ ტელეგრამაში ხსნიდა „მოლაპარაკების შეწყვეტის მიზეზით" (10/23 აპრ.), რადგანაც წინადადებით სეიმმა დაადგინა საზავო მოლაპარაკების გაგრძელება ოსმალეთთან, მინისტრ-თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელმა ჯერ კიდევ ახალი კაბინეტის შედგენამდე, აუწყა ოსმალთა სარდლობას, რომ მთელს ფრონტზე სამხედრო მოქმედება შეეჩერებინათ სადამოს 15 საათიდან იმავე 10/23 აპრ. ამასთანავე აცნობებდა, რომ ამიერ-კავკასიამ თავისი თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. 11/24 აპრ. მინისტრ თავმჯდომარეს გენერალ ოდიშელიძის სახელობაზე გამოგზავნილ ტელეგრამით ეცნობა ყველა ის პირობები, რომლითაც ოსმალები თანახმანი იყვნენ საომარ მოქმედების შეჩერებაზე ყარსის მიდამოებში. ამ ცნობის თანახმად, ჩვენს ჯარებს უნდა დაეტოვებინათ ყარსის სიმაგრენი, ორი ბერის სამზღვრებზე დამდგარიყვნენ და არავითარი წინააღმდეგობა არ გაეწიათ, როდესაც ოსმალთა ჯარები ციხეებში იწყებდნენ შესვლას. მინისტრ-თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ განკარგულებანი მოახდინა და სომეხთა ჯარების უფროსს გენ. ნაზარბეკოვს აცნობა სამხედრო მოქმედების შეჩერება და სიმაგრეების დაცლა. ამის შემდეგ ვეხიბ-ფაშას ცნობაც მოვიდა, ოსმალები ორ კილომეტრის მანძილზე შესწყვეტენ საომარ მოქმედებას.

## ომი

### ახლო აღმოსავლეთი

პალესტინის ფრონტი.

კონსტანტინეპოლი. მაისის 5. მდ. შერიას აღმოსავლეთ ნაპირზე ინგლისელების იერიშები მოვიგერიეთ. შერიას აღმოსავლეთით ინგლისელები შეეცადნენ საულდი გზების დაჭერას. აპრილის 30 ს ინგლისელთა ჯარი არაგასა და აფულეთ 5 მდ. შერიაზე გადმოვიდა. ქვეითა ჯარს თან ახლდა არტილერია და კავალერია. მათ გადმოსვლისათანავე იერიშები მოიტანეს ჩვენზე. სცდილობდნენ ზურგში მოქცევას. პოლკოვნიკი ალი ფუად ბეი 8 დღის განმავლობაში დიდ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. ფუად-ბეიმ და ბომბა ბეიმ ინგლისელთა კავალერია გაჰფანტეს. პოლკოვნიკი ბომბა-ბეი დაჭრილი დარჩა ჯარში და მტრის ერთ დივიზიის ზარბაზნები იგდო ხელთ. ჩვენმა მფრინავებმა მტრის ბანაკს სროლა აუტეხეს. მტერმა მდინ. შერიასკენ დაიხია. მას დასავლეთით მტერი საარტილერიო ცეცხლით გადევნეთ, ჩამოვაგდეთ მტრის ერთი ჰაეროპლანი.

**ოსმალეთის რადიო-სადგურის ცნობა.**

იორდანის აღმოსავლეთ ნაპირზე ინგლისელების მეორე შემოტევა მარცხით დასრულდა. მტერმა დიდი ზარალი ნახა, როგორც ხალხის, ისე სამხედრო ზარალის მხრივ. ინგლისელებმა იორდანისკენ დაიხიეს.

**პალესტინის ფრონტი.**

კონსტანტინეპოლი. მაისის 7. მტერი კვლავ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირისკენ გავდევნეთ. ერიხოტ-ულ-მემრანის ხაზზე მდებარე წინა ხიდებთან მტრის ზოგიერთა ნაწილები და არიან გამაგრებულნი. ტყვეების დამოწმებით, მათი ზარალი 50 პროცენტს აღწევს. პატრულები იორდანამდე შევიდნენ. ერიხოტ-ელ-მემრანის ხაზზე ჩვენი კავალერია მტერს ენიმისამდე (იორდანის მეორე მხარეზე) მისდევს. იორდანის დასავლეთით საარტილერიო ცეცხლი ათითა. სხვა ფრონტებზე ახალი არა არის რა.

## დასავლეთის ფრონტი

**გერმანეთის ცნობა.**

ბერლინი. მაისის 5. კემმელსა და ბოიულთან ფრანგების დივიზიებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს. დავატოვებინეთ 300 ტყვე. ბოიულის დასავლეთით ინგლისელები იერიშს შეეცადნენ, მაგრამ ალაგიდან არ დაიძარით. მდინარე სომმის ორივე მხარეზე საარტილერიო ცეცხლია. იგი მეტად გაძლიერდა ვილლერ-ბრეტონისა და ავრის დასავლეთ ნაპირთან.

**გერმანეთ-ავსტრია-უნგრეთის ცნობა.**

ბერლინი. მაისის 6. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში ჩვენ მარჯვედ ვმოქმედებთ. ლოკრეთან მტერს გამარჯვება არ ხვდა. იპრისა და ბაილის შუა დილა-ადრიან საარტილერიო ცეცხლი გაჩაღდა. კემმელს მთელი დღე უშენდნენ. ლისის ჩრდილო ნაპირზე, ლაბასის არხთან და მდინარე სომმის ორივ მხარეზე სადამოთი საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა. ხანგარსა და ველემონტის სამხრეთ-დასავლეთით ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ტყვე.

მერცოგ ალბრეხტის ლაშქარი. ბლემონტის დასავლეთით და ამერიკელ ჯარებს და მარტმანს ვეილერკოპფთან ფრანგებს ტყვეები დავატოვებინეთ.

**საფრანგეთის ცნობა.**

პარიზი. მაისის 6. მდ. ავრის ჩრდილოეთით და სამხრეთით ძლიერი საარტილერიო მოქმედებაა. აპრილის განმავლობაში გერმანელთა შორს მტყორცნელ ზარბაზნებით პარიზში დაჰჭრილა 280 კაცი. მათში 82 მომკვდარა.

მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი მფრინავები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, —ჯერჯერობით ვერ გამოურკვევიათ, თუ რა ადგილიდან უშენენ გერმანელები პარიზს ზარბაზნებს.

## კავკასიის ფრონტი

**მაისის 4 ცნობა.**

**ზღვის პირის მიმართულება** უცვლელადაა.

ჩვენ მოვიგერიეთ.

**ახალციხის მიმართულებით.** მაისის 2-ს ოსმალთა ნაწილებმა შეუტიეს სოფელ საკირესთან მდგარ ჩვენს მოდარაჯეთა უკუგდებს, მაგრამ ამაოდ.

**ერევნის მიმართულებით.** სოფელ გიუნდის (იგდირის სამხრეთ აღმოსავლეთით 15 ვერსის მანძილზე მდებარეობს) რაიონში მაისის 2-ს ქურთები თავს დაესხნენ ჩვენს პოსტს, მაგრამ ჩვენ ცეცხლით გავფანტეთ. სადგურ დავალუს აღმოსავლეთით ქურთები და თათრები დაესხნენ სოფ. ზინჯირლს, ყარახაჩს და გორტუნს. წაასხეს 800 სული საქონელი. მათ დასაბრუნებლად რაზმი გავგზავნეთ.

**მაისის 5 ცნობა.**

კავკაზ. ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

## უკრაინაში

**ბოლშევიკების განდევნა.**

**მოსკოვი.** მაისის 5. რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობაში წარადგინეს უკრაინის საბჭოთა მთავრობის და დონეცის მუშათა რესპუბლიკის შემდეგი განცხადება: „ვასრულებთ რა საბჭოთა მთავრობის ნებას უკრაინასა და დონეცის რესპუბლიკაში, მე ორი თვის განმავლობაში რამდენადაც კი შემეძლო ხელმძღვანელობდი საბჭოების უკრაინის და დონეცის ჯარებს გერმანელ გაიდამაკების წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა მთავრობანი გადმოსცილდნენ უკრაინის იმ საზღვრებს, რომლებიც აღნიშნულია მესამე უნივერსალში და ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად რუსეთის რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობის განკარგულებით მათ იარაღი აიყარეს. ამის გამო ვაცხადებ, რომ გერმანელ-გაიდამაკების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება შეწყვეტილია და მე სამხრეთ რესპუბლიკების უზენაეს მთავარსარდლობას თავს ვანებებ. გამოვსთქვამ შეურყეველ რწმენას მუშათა კლასის სრულ გამარჯვების და სოციალურ რევოლუციის მოხდენის შესახებ.

ყოფილი უმაღლესი მთავარსარდალი ოვსიენკო-ანტონოვი.

## უცხოეთი

### იაპონიის გამოსვლა

რომის „ტრიბუნის“ კორესპონდენტი ციურიხიდან ფრიად სენსაციურ ამბავს იტყობინება შორეულ აღმოსავლეთში იაპონელთა გამოსვლის შესახებ. მისი სიტყვით შვეიცარიაში, თებერვლის დამლევს, იაპონელთა და გერმანელთა დიპლომატების საიდუმლო შეხვედრა მოხდა. გერმანელთა დიპლომატმა წინადადება მისცა ცენტრალ სახელმწიფოებს შემოგვეერთოდით და ჩვენთან ერთად იბრძოლეთო. ამის სასყიდლად გერმანელი დიპლომატი დაჰპირებია, რომ იაპონიას განსაკუთრებული უფლებები მიენიჭება ციმბირში და ჩინეთში, ისე რომ მხოლოდ ჩვენ ორს გვექნება ამ ორს ქვეყანაში გავლენისა და ბატონობის უფლებაო. გერმანულ დიპლომატს ისიც კი უთქვია, ასეთს პირობებს დღევანდელი თქვენი მოკავშირენი არასოდეს არ დაგიდებენ, რადგანაც მისი გაძლიერება არაფრად მოეწონებათ ამერიკელებს და ინგლისელებსაო.

გერმანეთის წინადადება განხილულ იქმნა იაპონიის დახურულ პარლამენტში. წინადადებას მხარს უჭერდა დეპუტატებისა და მინისტრების ერთი ნაწილი. წინადადება იგი უარყოფილი იქმნა, იგი შესცვალეს უფრო აქტიურ პოლიტიკად შორეულ აღმოსავლეთში საწარმოებლად. ამ პოლიტიკის აზრი კი ის არის, რომ იაპონიამ აშკარად განუცხადა თავის მოკავშირეებს სურვილები ციმბირის ერთი ნაწილის დასაჭერად. პირველად საკითხი ფართოდ იქმნა დასმული, რაზეც ამერიკელებმა და ინგლისელებმა დაუყოვნებლივ პროტესტი განუცხადეს, მაგრამ შემდეგში, როდესაც აზრთა გაცვლა მოხდა ვაშინგტონისა, პარიზისა და ლონდონის კაბინეტთა შორის, დაადგინეს, დამოუკიდებლად იაპონიის გამოსვლა არა სასურველია და შორეულ აღმოსავლეთში მის მადის ზრდას უნდა საზღვარი დაედოსო. მიუხედავად ამისა მას განსაკუთრებული უფლებები მიანიჭეს ჩინეთსა და ციმბირში, მხოლოდ იმ პირობით, რომ შესვლა და ადგილების დაპყრობა შორეულ კორპუსებით მოხდეს, რომ ყველას ჯარები იღებდნენ მონაწილეობასაო. იაპონიამ მოკავშირეთა წინადადება მიიღო, ამიტომაც ციმბირის დაჭერა აჩქარებულის ტემპით ხდება.

ურთიერთშორის დადებულ ახალი ხელშეკრულობით საერთაშორისო ჯარებით ლაშქრობა მარტო ერთი ციმბირის დაპყრობით არ განისაზღვრება.

## უკანასკნელი დეპეშები

**როსტოვი გერმანია-უკრაინის ჯარებმა აიღეს.**

—

**თერგის ოლქში ბოლშევიკების წინააღმდეგ ინგუშები და ოსები შეერთდნენ.**

—

**გერმანეთის საზავო დელეგაციას თავმჯდომარეობს ფონ-ლოსოვი. დელეგაციაში შედის აგრეთვე თბილისის ყოფილი კონსული შულენბურგი.**

## ქრონიკა

**თბილისი.**

◆ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს** კრება შესდგება დღეს, დღის 12 საათზე, განსახილველი საგნები: 1) საქართველოს კონსტიტუციის შედგენის საკითხი; 2) მიმდინარე საკითხები. კანდიდატების დასწრება საჭიროა.

◆ **მთავარი კომიტეტის და ფრაქციის კრება.** დღეს დილის 10 საათზე დანიშნულია საქ. ეროვ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტისა და ეროვნულ საბჭოს ფრაქციის კრება. განსახილველია: საქართველოს კონსტიტუცია და ამიერ-კავკასიის გადამიჯვნის საკითხი. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

◆ **გერმანელთა დელეგაცია.** სარწმუნო წყაროებიდან გვაცნობენ, რომ ბათუმში უკვე ჩამოსულან საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად გერმანიის წარმომადგენელნი.

◆ **სომეხთა ოჯახების აკლება.** სპარსეთის ქ. ქ. ხოიში და საიდავარში ქურთებმა სიმკას მეთაურობით სომეხთა 300 ოჯახი აიკლეს და ყველას ყელები გამოსჭრეს.

◆ **დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ.** თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს 3 მაისს გურიიდან დეპეშით აცნობეს, რომ მტრის მიერ დაპყრობილ ადგილებიდან გამოქცეულნი დიდს გაჭირვებას განიცდიან, საჭიროა ქონებრივი დახმარება. მიტროპოლიტმა დაუყონებლივ მოიწვია თბილელ სამღვდელოების სასწრაფო კრება, რომელმაც დაზარალებულ გურულებს სასარგებლოდ იქვე გაიღო თავისი წვლილი (13000 მანეთამდის) და დაადგინა აღდგომის კვირის განმავლობაში აგროვოს შემოწირულებანი ეკლესიებში ზემოაღნიშნულ საგნისათვის.

◆ **ქართულ სარევოლუციო და ეროვნულ ჰიმნ-საგალობელთა კონცერტი.** ამ დღეებში სახელმწიფო თეატრში გაიმართება კ. ფოცხვერაშვილის მეთაურობით და მონაწილეობით ქართულ ჰიმნ-საგალობელთა კონცერტი. სხვათა შორის, შესრულებული იქნება პირველად კ. ფოცხვერაშვილის ახალი ქართული სამხედრო მუსიკის სანიმუშო თხზულებანი: ეროვნული ჰიმნი, ქართული მარსელიეზა, რევოლუციონური მარში და სხვანი. გუნდში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყველა კარგი მომღერალმაც, რისთვისაც მსურველნი წინდაწინ უნდა ჩაეწერონ ჩვენს რედაქციაში.

## ა. ი. ჩხენკელის მიმართვა აფხაზთა და სამურზაყანოელთადმი

ა. ი. ჩხენკელმა შემდეგი სიტყვით მიჰმართა აფხაზებს და სამურზაყანოელებს:

„ამ უდიდეს ისტორიულ და ფრიად საგულისხმიერო მომენტში, როდესაც ამიერ კავკასიის ბედი სწყდება, როცა მისი დამოუკიდებლობა გამოცხადებულია ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკის ნიადაგზე, როდესაც ირკვევა და მტკიცდება სახელმწიფო და ტერრიტორიული საზღვრები, როდესაც ამიერ კავკასიის ერები ხანგრძლივ მომავლისთვის სჭედენ ახალს გზებს, ახალ ცხოვრების შესახვედრად, მე მოგმართავთ თქვენ, აფხაზეთისა და სამურზაყანოს შვილნო, როგორც თქვენი თანმემამულე წარმომადგენელი და თქვენთან ერთად მებრძოლი თქვენი ინტერესების დასაცველად ჯერ კიდევ სახელმწიფო სათათბიროში, მოგმართავთ მხურვალე მოწოდებით ყური ათხოვოთ ჩემს ხმას!

ღრმა მწუხარებით, გულის კვნესით შემესმა ამბავი იმ დამღუპველ ანარქიისა, ექსცესებისა, არეულობისა და ურთიერთისადმი მტრობა-შუღლის შესახებ, რაიც ჩვენს ქვეყანას შემზარავი გლეჯა-ფლეთით სპობს და ანელებს.

მე გთხოვთ, ყოველგვარი ზომები მიიღოთ დაუყოვნებლივ ანარქიის შესაჩერებლად. მოიწვიეთ სახალხო ყრილობა და გამოგზავნეთ თბილისში თქვენ თქვენი წარმომადგენლები, რათა ჩვენთან ერთად და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა წარმომადგენლებთან ერთად, შეერთებულის ძალით, გამოვიმუშაოთ კონსტიტუცია, განვსაზღვროთ და დავადგინოთ სახელმწიფოებრივი სწორი მიჯნები, რათა თქვენმა ხალხმა მთელმა აფხაზობამ და სამურზაყანოელებმა, მასში ჰპოვონ თავიანთ სურვილებისა და იმედების ახდენა, ფართო გულითადი გაშლილი ხელი, რომ სავსებით, როგორც კავკასიის ფედერაციის სწორუფლებიან წევრს თანასწორივე ყურადღება და მზრუნველობა მიეცეს ყოვლისფერის დასაკმაყოფილებლად.

ამიერ კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი. ხელს აწერს ა. ჩხენკელი.

## ბოლშევიკების პასუხი მენშევიკების მოწოდებაზე

როგორც იცით, ამას წინად ჩვენმა მენშევიკებმა მოწოდებით მიმართეს რუსეთის დემოკრატიას. მოუწოდებდნენ გასაჭირის ჟამს დახმარების აღმოსაჩენად. თუ როგორ შეეგებნენ ამ მოწოდებას რუსეთის, კერძოდ არმავირის ბოლშევიკები—ამას მოწმობს „კუბანსკაია პრავდა“-ში (არმავირის საბჭოთა ორგანო) მოთავსებული მოწოდება.

თავიანთ მოწოდებაში აღნიშნავენ ყოველივე იმ ცოდვებს, რომელიც მიუძღვით, მათი აზრით, ამიერკავკასიის მენშევიკებს.

სხვათა შორის აღნიშნავენ, ვითომც მენშევიკები სწყვეტდნენ ოჯახებს, სცრცვავდნენ ყველას, ასე რომ ხალხს რამდენიმე მილიარდის ზარალი მიაყენეს.

ბოლშევიკების მოწოდება ასე თავდება:

ამხანაგებო! არცერთი გრამი, არცერთი გირვანქა პური არ მისცეთ რევოლუციის მოღალატეთ. დახმარება მხოლოდ მათ, ვინც ჩვენს დიად სოციალისტურ რესპუბლიკის მხარეზეა. ასეთ მოწოდებით მათ ჩვენს მტრებს მიმართონ და არა ჩვენ.

მოქალაქენო! სადაა გარანტია მათი პატიოსნების, მათ გაყიდეს სინდისი და პატიოსნება. მოუწოდებთ ყველა მოქალაქე-ამხანაგს: ფრთხილად მათ მოწოდებისგან. იცოდეთ, რომ მთელი ქვეყნის ბურჟუაზია შეერთდა მშრომელ პროლეტარიატის წინააღმდეგ. ასე იქცევიან მაჩაბელა-მოღალატენი. სახალხო კომისართა საბჭო ეკითხება მათ, დიდხანს გააგრძელებენ თავიანთ მოღალატ[illegible]მედებას? დიახ, ეხლა თვითონ [illegible]ნეს თავიანთი მხარე უფსკრულამდე. მერე როგორი სიტყვებით გვეალერსებიან! არა, რასაც დასთეს, იმას მოიმკი, დეე დასტკბენ თავიანთ ნამოქმედარით. დაე მათი დალუპვა გაკვეთილად ჰქონდეთ დანარჩენ გამცემთ აქ არმავირში და მთელს კავკასიაში.

ვინც ჩვენს წინააღმდეგ არიან—მოისპობიან!..

## გერმანელების დესანტი ტრაპიზონსა და ბათომში

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან: გერმანელებმა ტრაპიზონში დესანტი გადმოსხეს. ფიქრობენ, მთელი კორპუსი უნდა იყოს გადმოსხმული, რადგან სატრანსპორტო გემები, რომლებითაც გადმოსხდნენ ჯარები, ოცდაათს აღწევდნენ. ამბობენ, რომ ჯარს სპარსეთის ფრონტზე გამოგზავნიანო. ამასთან ერთად ცნობაა, რომ კონსტანტინეპოლში გერმანელები თავს უყრიან სამხედრო ძალებს გერმანიაში ახლად შემდგარ იმ ორ კორპუსიდან, რომლებსაც თურქესტანის მხრისკენ უპირებენ გადმოსხმას.

გერმანელებს განზრახული აქვთ თურქესტანში ბამბის საპლანტაციო ადგილები ჩაიგდონ ხელში. მათვე განზრახული აქვთ დაღესტანის, კრასნოვოდსკის და სპარსეთის მხრით კასპის ზღვის ხელში ჩაგდება.

პირველი ადგილები მათ სჭირდებათ სამანუფაქტურო მრეწველობისა და ასაფეთქებელ მასალებისათვის ხოლო მეორე თევზეულობის შესაძენად.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“ ამას წინად სწერდა: „უკრაინამ უნდა მოგვცეს პური, დონეცის ბასეინმა ნახშირი, კავკასიამ—შავი ქვა და ნავთი, თურქესტანმა, სპარსეთმა და მუღანის ველმა—ბამბა. ხმებია (ჯერ შეუმოწმებელი), რომ გერმანელებმა ბათომში დესანტი გადმოსხეს. როგორც გადმოგვცემენ დესანტი ტრაპიზონიდან მომდგარა.

## გერმანეთი და კავკასია

გერმანულ გაზეთებში ხშირად შეხვდებით მსჯელობას კავკასიის რესპუბლიკების დაარსების შესახებ.

ასახელებენ: ქართულ რესპუბლიკას სატახტო ქალაქით—თბილისით; სომხურ რესპუბლიკას, რომელშიაც შევლენ: ერევნის გუბერნია და ის ოლქები სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას სომხები შეადგენენ სატახტო ქალაქად—ეჩმიაძინი. არა ნაკლებ ყურადღებას აქცევენ დაღესტანის რესპუბლიკის დაარსებას. მის დედა ქალაქად იქნება ბაქო; ასახელებენ აგრეთვე ადარბადაგანის (ადერბეიჯანის) რესპუბლიკას. ხსენებულ რესპუბლიკაში შევა განჯის გუბერნია. მის სატახტო ქალაქად—თავრიზი იქნება.

ამბობენ, დაღესტნელები თანახმანი არიან ახალ პოლიტიკურ კომბინაციაზეო.

გერმანეთის გეგმას სხვანაირად შეხვდნენ სპარსეთში. ინგლისოფილები და სპარსეთის მთლიანობის მოტრფიალენი უარჰყოფენ ამ გეგმას და მის განხორციელების წინააღმდეგ ამხედრებიან მიმდევრებით. გერმანოფილები კი სცდილობენ რაც შეიძლება მოაწონონ ხალხს ადერბეიჯანის რესპუბლიკის იდეია. ეს უკანასკნელნი მოუწოდებენ ხალხს: დაიჩქარონ განზრახულ ყრილობის მოწვევა ახალ ორიენტაციის საკითხის გამოსამუშავებლად.

## ინგლისელები სპარსეთში

გაზეთი „ადერბეიჯან“-ში ფ. ალიკული ზადე სწერს: „ბენდერ-ბუშირით სპარსეთში ინგლისელებს განუწყვეტლივ შეჰყავთ ჯარები. სპარსეთის ადერბეიჯანით მათმა ჯარებმა უკვე მიაღწიეს კავკასიის საზღვრებს. უკანასკნელ ცნობებით, მათ ჯულფამდის მიაღწიეს. როგორც სჩანს ინგლისელები არ კმაყოფილდებიან სპარსეთით, მათ სურთ კავკასიის დაპყრობაც. სპარსეთის მთავრობა ამის შესახებ ხშირად მიმართავს შეკითხვით თეირანში მყოფ ინგლისის მისიას, მაგრამ იგი მთავრობას პასუხის ღირსადაც არ ხდის. ეს არც საკვირველია, რადგან ინგლისმა კარგად იცის, რომ მის მიერ დაუძლურებული სპარსეთი, მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. თვით ის მებრძოლი ხალხი და მთიელნი, რომლებიც რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მხედრდებოდნენ, სრულებით თავაც არ ფიქრობენ ინგლისის წინააღმდეგ ამხედრებას. პირიქით — ინგლისელებს ისინიც კი მეგობრულად უყურებენ. ალბად, მათაც თვალი მოსჭრა ინგლისელთა ოქრომ!

სპარსული ხანები, წინამძღვარნი და მემამულენი გვერდზე ვერ მოიყვანა თვით რუსეთის ჯარისკაცებმა ყოველივე სიბოროტემ. ვერ მოისწრეს განთავისუფლება ერთი მონობის უღლიდან და მეორეში ჰყოფენ თავს.

ზოგიერთი გაზეთები, რომელთაც თავი მოაქვთ, როგორც ხალხის ხელმძღვანელთ და მფარველთ, როგორიცაა მაგალითად: „რადი“, „კეოკაბი“, „ირან“-ი და „ვატან“-ი პირდაპირ თანაუგრძნობენ ინგლისელებს, მხიარულ ფერებით ხატავენ ინგლისელების შესვლას და, იმის მაგივრად რომ ხალხს თვალები აუხილონ და მიუდგომლად გააცნონ ხალხს საქმის სწორი ვითარება, თავიანთ წერილებით უბნელებენ ხალხს გონებას და სპარსეთს გამოუთქმელ უბედურებაში აგდებენ“.

ამის გამო გაზეთი „ბაქუ“ სწერს: რა თქმა უნდა არა არის რა იმაზე ადვილი, რომ ინგლისელების გამარჯვება ოქროს მიაწეროს. მაგრამ კარგი იქნებოდა ყურადღება მიეექციენა თუნდ იმ ცნობისთვის, რომელსაც „ადერბეიჯანს“ არდებილიდან აწვდიან:

„ნასრულ-ხანის ყოგჩინობამ, მისმა და მის თანამოხლეთა სიმკაცრემ დატანჯეს და მოთმინებიდან გამოიყვანეს ადგილობრივი გლეხობა. ზოგნი მათგანი რუსეთში გარბის. დანარჩენთ ნასრულ-ხანის მიერ შეწერილ გადასახადების და ზეგრის გადახდით ტყავი აძრობათ. ხშირად ერთი მტკაველის ოდენა მიწის გაყიდვაც კი უხდებათ ხარჯების გადასახდელად და ნასრულ-ხანის და მის მახლობელთა რისხვის თავიდან ასაცილებლად.

ვაი იმ გლეხის ოჯახის ბრალი, რომელიც ვერ შესძლებს გადასახადის გადახდას. გამოჰყავთ ბავშვები და დედაკაცები და საშინლად სტანჯვენ საცოდავებს. მრავალი ამ საშინელ ტანჯვას ვერ იტანს და კვდება.

და არავინაა ამ უბედურების მფარველი. ერთად-ერთი იმედად გლეხებს ჰყავთ მირზა კუჩიკ-ხან ჯანგელლი, როგორც სჩანს მან არა უნდა იცოდეს რა იმ ტანჯვის შესახებ, რომელსაც გლეხებს აყენებენ.

არდებილის მცხოვრებნი აცნობებენ რა ყველა ამას გაზეთს, სთხოვენ მთელ მაჰმადიანთა დემოკრატიას, რომ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ თავიანთ ერთმორწმუნე ძმებს.

## რუსეთი თუ გერმანეთი?

წინა წერილში (დასავლეთი, სამხრეთი თუ ჩრდილოეთი?) ჩვენ შევეხეთ საკითხს, თუ რა შესძინა საქართველოს რუსეთთან დაახლოვებამ, რა ჭირი და უბედურება შეემთხვა ჩვენს ქვეყანას რუსეთთან კავშირით, რუსული ორიენტაციით. 300 წელზე მეტია რაც საქართველომ იწყო ცქერა ჩრდილოეთით, რადგან განათლებული დასავლეთი იმ დროს დახშული იყო მისთვის, გზიანი სამხრეთი და აღმოსავლეთი კი გარემოცული შავი ღრუბლებით და ბნელი ძალებით. მხოლოდ ჩრდილოეთით მოსჩანდა მცირე ნათელი და ამ ნათელმა წაიზიდა ქართველი ერის მესვეურნი. აჰა, ვიგემეთ კიდეც მოყვრათ მოვლენილი ბატონის „ერთგული მზრუნველობა“ და „ტკბილი ალერსი“!

ახლა განვიხილოთ თუ რა შესძინა საქართველოს სამხრეთმა და დასავლეთმა.

დღეს ქვეყნათ არსებობს მაღალი კულტურის და ცივილიზაციის სამი კერა: დასავლეთი ევროპა, ჩრდილო ამერიკა და იაპონია. ამ სამს ანთებულ ჩირაღს ეტანიან სხვა ჩამორჩენილი ხალხები. ჩვენთვის ყველაზე უფრო ახლოა და ხელმისაწვდომი დასავლეთი ევროპა, რომელთანაც გვაკავშირებს შავი და ხმელთაშუა ზღვები. ამ განათლებულ ევროპაზე გეოგრაფიულად ფართოდ მიკრული იყო რუსეთი, ვინაიდან ეკავა ერთიანად აღმოსავლეთ ევროპის სივრცე. თუმც 300 წელზე მეტია რაც რუსეთი დაუახლოვდა ევროპას და ეზიარა მის მაღალ კულტურას, მაგრამ ბევრი ვერაფერი შეიძინა და ამის უმთავრესი მიზეზი იყო რუსის ხალხის ბუნების თვისებები და თუ რამე გაკეთდა თვით რუსეთში, ან ვა-

ქრობა-მრეწველობაში, ან მეურნეობაში, ან მეცნიერებაში, ან ხელოვნება-ლიტერატურაში, ან პოლიტიკაში და სხვა, ყოველივე ეს ჩაიდინეს უმთავრესად რუსეთის იმპერიის ფარგალში მყოფმა გარეშე ერებმა და რუსეთში შემოხიზნულმა ევროპიელებმა. თვით რუსის მოდგმას ამ კულტურულ მუშაობაში უდევს ფრიად მცირე წილი, რაც არა ერთხელ აღნიშნეს ჟურნალ-გაზეთებში თვით რუსის მწერლებმა.

უძველეს დროში კი კაცობრიობის კულტურის ჩირაღი აინთო ოთხ ადგილას: ჩინეთში, ინდოეთში, დასავლეთ აზიაში ეგვიპტითურთ და ამერიკაში, (მექსიკა და პერუ). იყო დრო როცა თვით დასავლეთი ევროპა მოფენილი იყო ნახევრად ველური, უკულტურო ხალხებით და აი, ამ ხალხებმა მიიღეს განათლება დასავლეთ აზიიდან. პირველად განათლდენ კულტურულ კერასთან უფრო დაახლოვებულნი სამხრეთ ევროპის ხალხნი ელლინები (ბერძნები) და რომაელნი; ამათგან კი შემდეგ განათლდენ დანარჩენებიც, მ. ი. ესპანია, საფრანგეთი, ინგლისი, ავსტრია, გერმანეთი, პოლონეთი და სხ.

როგორც დამტკიცდა ამ ბოლო დროის მეცნიერთა გამოკვლევით, ქართველთა ტომი უძველეს დროში 3—4000 წლის წინათ ქრ. მოსვლამდე ბინადრობდა სამხრეთით, მ. ი. დასავლეთ აზიაში, (მესოპოტამიასა და მცირე აზიაში) და შეიცავდა საკმაოთ მრავალ რიცხვიანს და ძლიერ სამეფოებს. ქართველთა მოდგმის ერთი ტოტი ქალდე (ქართლის) და სუმერის სახელით ცხოვრობდა მდ. ტიგრსა და ეფრატ შორის და შეიქნა სემიტთა მოდგმის აშურ-ბაბილონელთა კულტურის მამცემი. ქართველთა მეორე ტოტი თუბალ-მოსოხის და ურარტუს სახელით წვრილ სამეფოებათ დაყოფილი ბინადრობდა ტიგრ-ეფრატის ზემო აუზებში, აგრეთვე ვანის და ურმიის ტბების მიდამოებში და აწარმოებდა უმთავრესათ მეტალურგიას (რვალსა და რკინას). ქართველთა მესამე დიდი შტო კი ცხოვრობდა დასავლეთით, ეგვიპტეს მეზობლათ, მდ. ორონტის და ლალისის აუზებში. ამ ტომის სახელით იყო ხეთი (ჰიკსი). ხეთები შეიცავდნენ ძლიერ სახელმწიფოს და ჰქონდათ ხანგრძლივი ბრძოლა დიდებულ ეგვიპტესთან სირიის დასაპყრობათ და მსოფლიო ბატონობისათვის. 2300 წლის წინად ქრ. მოსვლამდე, ხეთებმა დაიპყრეს კიდეც მთელი ეგვიპტესთან სირიის დასაპყრობათ და მსოფლიო ბატონობისათვის. 2300 წლის წინად ქრ. მოსვლამდე, ხეთებმა დაიპყრეს კიდეც მთელი ეგვიპტე და ფარაონთა ტახტზე 500 წლის განმავლობაში ადიოდა ხეთელთა სამეფო გვარი.

დიდხანს ცხოვრობდნენ ქართველი ტომები ძველს ბინაზე, სადაც მათ შექმნეს თვით არსი კულტურა, იეროგლიფური და ლურსმული მწერლობა, განავითარეს ხელოვნებანი, მოიგონეს რუქების ხატვა, (კარტოგრაფია) და უმთავრესათ მოიგონეს რკინა-ფოლადის დამუშავება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა მიეცა შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში. და ეს ხელოვნება შეასწავლეს მეზობელ ერებს, ამიტომაც ქართველ ერზედ უნდა იყოს თქმული ის ზღაპრული პრომეთეოსი (ამირანი), რომელმაც მოსტაცა ღმერთებს ციური ცეცხლი, მისცა იგი უმეცარ ადამიანს და თანაც შეასწავლა სხვა და სხვა ხელოვნება.

ქართველ ტომებს მეზობლათ ჰყავდათ მაღალ-კულტურული სახელმწიფონი, მაგ. ეგვიპტე, ფინიკია, სირია, ურიასტანი და აშურ-ბაბილონი. ამათთან ერთი-ერთმანეთით კიდევ უფრო ვითარდებოდა ქართველთა მოდგმა. ჩრდილოეთით კი იცავდა ამ კულტურულ ერებს ველურთა შემოსევისაგან, (სკვითებიდან და კიმერიელებიდან), კავკასიონის მაღალი ქედი და კასპიის ზღვამდე გაყვანილი დიდი კედელი, რომელთა ნანგრევები შენახულა დღემდე. მეცნიერთა თქმით, ეგვიპტე-ფინიკიასთან ერთად ქართველ ტომებს დიდი როლი უთამაშნიათ თვით ძველი ბერძნების, ანუ ელინების განათლებაში, ამიტომ მართალია მეცნიერი რიტტერი როცა ამბობს: თუმცა ელლადას დიდი ღვაწლი მიუძღვის ევროპის კულტურის შექმნაში, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ აღმოსავლეთით არსებობს ერი, რომელსაც კიდევ უფრო მეტი ღვაწლი მიუძღვის მთელი კაცობრიობის წინაშე და ეს ერია ქართველებია".

მეცამეტე საუკუნიდან ქრ. წინ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ქართველმა ტომებმა თანდათან დასტოვეს ძველი ბინა, დაიხიეს ჩრდილოეთით და დაბინავდენ ამიერ-კავკასიაში. ასეთმა ისტორიულმა ვაკაკლიზმმა სამჩნევად დააქვეითა ქართველთა მოდგმა და დასცა მისი მაღალი კულტურა. ნაცვლად განვითარდნენ აღმოსავლეთით ძველი სპარსეთი და დასავლეთით საბერძნეთი, რომელთა გავლენის ქვეშ ჩავარდა და დიდხანს დარჩა ამიერ-კავკასიაში შეფარებული ერთ დროს ძლიერ ქართველ ტომთა ნაფლეთები. ამ გავლენამ თავისი ნაყოფი გამოიღო და კვლავ აანთო საქართველოში კულტურის მიმქრალი ჩირაღი. ქართველი ერის კულტურა და კეთილდღეობა კიდევ უფრო აჰყვავდა რომაელთა ბატონობის დროს პირველ საუკუნეში ქრ. წინ, როცა ამათ გაიყვანეს საქართველოზე მდიდარი ინდოეთის სავაჭრო შარა-გზა. საქონელი რომიდან და ევროპიდან მოდიოდა ხმელთა შუა და შავი ზღვებით, აქედან მდ. რიონით და ყვირილათი აჰქონდათ ხომალდებით, ნავებით და ნავტიკებით ქალაქ შორაპნამდე, სადაც ყოველ წლობით გროვდებოდა 100 მილიონი სესტერციის საქონელი. ეს საქონელი ცხენით და ურმით გადაჰქონდათ ულევის გზით მდ. მტკვარამდე, შემდეგ კასპიის ზღვით სპარსეთსა და აგრეთვე ინდოეთში, საიდანაც ამავე გზით მოჰქონდათ რომში აზიური საქონელი.

ქრისტეს ჰუმანიური სარწმუნოების მიღებით პირველსავე საუკუნეში კოლხეთში და იბერიის გაქრისტიანებით მეოთხე საუკუნის დამდეგს წმ. ნინოს მეოხებით, საქართველომ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა პროგრესისაკენ და ეზიარა ქრისტიანულ კულტურას. ქართველი ერი მალე დაუახლოვდა დასავლეთით და სამხრეთით განათლებულ ბიზანტიას და ალექსანდრიას, შეითვისა მათი ფილოსოფია, მეცნიერება და ხელოვნება, გააჩინა სკოლები და მონასტრები. არაბთა შემოსევამ საქართველოში თუმცა ერთხანს შეაჩერა კულტურული მუშაობა, დასცა და დაქაქსა პოლიტიკურათ, მაგრამ მალე განათლდენ თვით არაბები და გაავრცელეს ეს განათლება როგორც საქართველოში, ისე სხვა ყველა დაპყრობილ ქვეყნებში.

მეათე საუკუნის გასულს გაერთიანდა თან და თან დაფლეთილი საქართველო, მოიცა ძალა, გარდიგდო კისრიდან არაბთა ბატონობის უღელი შექმნა დამოუკიდებელი სამეფო ბაგრატ მე-3-ის გენიოსობით, იშვიათის ხალისით და ენერგიით შეუდგა კულტურულ მუშაობას. ერთ საუკუნეში ქართველმა ერმა ჩაიდინა ნამდვილი სასწაული, მან გაიჩინა არამც თუ პოლიტიკური ძლიერება, არამც თუ შეიქნა წინა აზიის ბატონი, არამედ წარმოშვა ოქროს ხანა მწერლობა ხელოვნებაში. იმ დროის ნაშენი ციხე-დარბაზები, დიდებული ტაძრები თავის ფრესკებით და ჩუქურთმებით, უზენაესათ განვითარებული ქართული ენა, იშვიათი თარგმანები, ციური პოეზია, საგალობელნი, რელიგიური და ფილოსოფიური ნაწარმოებნი მინიატიურები და სხვა ლაპარაკობენ საქართველოს წარსულ დიდებაზე და აოცებენ თვით ევროპის მეცნიერებს. ამ რიგათ მე-12-ე საუკუნეში საქართველოს კულტურა მაღლა იდგა მთელი ევროპის კულტურაზე.

მეცამეტე საუკუნის დამდეგს კაცობრიობას ღვთის რისხვათ მოევლინა აღმოსავლეთიდან მონღოლები. ეს ველურთა ურდონი გრიგალივით მოედვნენ აზიის სამხრეთისა და დასავლეთის კულტურულ სახელმწიფოებს, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპას და გაანადგურეს ყველაფერი. მათი ველურობის მსხვერპლი შეიქნა განათლებული საქართველოც; მას დაადგეს ასი წლის მონობის მძიმე უღელი, გაძარცვეს, დაანაწილეს და გააღარიბეს. იმ დღიდან ჩვენს სამშობლოს აღარ გაუხარია. ბოლოს გადიგდო მან ეს ველურთა უღელი, შეება კიდეც თავ-განწირვით ახალ მტარვალს ლანგ-თემურს, რომელიც 7-ჯერ შემოესია უამრავი ჯარით საქართველოში, სწვავდა მისი [illegible], აქედან შესევა ევროპაში და განადგურება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია; მისი ურდოთა ტალღები დაიმსხვრა პატარა საქართველოს სიმტკიცეზე. ამ რიგად გადურჩა ევროპა დიდ ხიფათს, მაგრამ მის ნაცვლად ზვარაკად შეიწირა საქართველო...

საქართველო მრავალჯერ ეწამა ისტორიის გოლგოთაზე ევროპის საკეთილდღეოთ და განათლებულმა ევროპამ არ უნდა დაივიწყოს პატარა ერის ასეთი თავგანწირვა.

ს. ქვარიანი.

## წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში და მით შეძლება მომცეთ ავიცდინო თავიდგან უსამართლო ბრალდებები.

გაზეთ „ს.-დემოკრატის" № 210 რ. ყიფიანი ლეჩხუმში მომხდარი ამბების შესახებ, სხვათა შორის, სწერს: „ლეჩხუმის მოძრაობას ეხლა ხელმძღვანელობენ ჩუმად, მალულად, შორიდგან ხაზებთან ერთად მღვდელი ივანე მარგიანი, გლეხთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს სვანი ამბრიასი პირველი, ხოლო ამათი იარაღი და აღმასრულებელი ძალა არის: დავით კოპალიანი, შარდენ ყურაშვილი, კახიძე, ჩიკვილაძე და ბეჟან კანკიძე. ვინ არიან ეს ჯენტლმენები?"

ლეჩხუმის ყოფილმა აღმ. კომიტეტმა და მასთან ერთად რ. ყიფიანმა იმ თავითვე გაილაშქრეს ჩემზედ, რათა შეურაცხება მოეყენებინათ და ლეჩხუმის მიწა-წყალს მოეშორებინე. ამისათვის არავითარს საშუალებას არ მოერიდნენ: კიდეც შემიპყრეს, ციხეში ჩამსვეს, წაჰგეს თვით საკუთარი კერას მომაშორეს და თან უსტრუოდ ახალ-ახალ ბრალდებებს აცხადებდნენ ჩემზედ. მაგრამ ხალხმა, რომელიც ხსენებული კომიტეტის წევრთა შიშ ქვეშ თრთოდა რამოდენიმე თვე, ისეთი მოქალაქეობრივი გაბედულობა გამოიჩინა, რომ ჩემი სიმართლე ხმამაღლა აღიარა და არაღმდებლებს მედგარი პროტესტი განუცხადა. ხალხის სურვილს არამც თუ არ გაუწიეს ანგარიში, პირიქით, ან გარემოებამ მთლად გააბრაზა კომიტეტი და ჩემს დევნას მეტის ენერგიით შეუდგა. აი, სწორედ ამ დროს იყო, ბ. რ. ყიფიანო, თქვენ რომ ბრძანეთ: „უკეთესი იყო მარგიანისათვის ამ საქმისათვის არ მოეკიდებინა ხელი, ეხლა კომიტეტი ეცდება ყოველი საშუალება იხმაროს მისდა გასამტყუნებლად"! აშკარად გვყავრებიათ სიმართლე! ხალხს რომ გვერდით არ ვყოლოდი თქვენი ძლევამოსილობის დროს, თქვენთვის საპირო იყო ჩემი თავიდგან მოშორება და ექვსი თვე კიდეც საკუთარ კერას გარეშე მამყოფეთ, ოჯახი დამიქციეთ და რაციონალური მეურნეობა, რომელიც უმთავრესი საზრდო იყო ჩემის არსებობისა და რომელსაც შეეწირა ჩემი ძალ-ღონე, ჩამიდუშეთ! ამას ეძახით სოციალისტობას? ამას ეძახით რევოლიუციის გაღრმავებას?

ის, რაც სხვებს უნდა ექნათ, თვით ლეჩხუმის ხალხმა მოიმოქმედა და კომიტეტის მთელ შემადგენლობას ექსორია უყო!

დღეს კიდევ არა ცხრებით და ახალ ბრალდებებს მიყენებთ ზემოდ ნათქვამის სახით. ნუ იტყვით, თურმე „ჩუმად, მალულად და შორიდგან ეხელმძღვანელობ დღეს ლეჩხუმის მოძრაობას"! ლეჩხუმის მოძრაობის ხელმძღვანელობას როდი უთაკილობ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თქვენ აქ აშკარად სტყუით. თქვენი მწარე სიტყვები სხვასაც ბევრს ჰკულისხმობს...

თქვენ მიერ ხსენებულნი: დ. კოპალიანი, შ. ყურაშვილი, კახიძე და ჩიკვატაძე არასოდეს ჩემი აღმასრულებელი ძალა არ ყოფილან, მათ საკუთარი აზრი და ნების ყოფა ამოძრავებს და შეიძლება თვალითაც არ მინახავს. რაც შეეხება თქვენს ყოფილ ამხანაგს ბეჟან კანკიძეს, რომელიც, თქვენის თქმით, ქრთამის გულისთვის იქმნა დათხოვნილი კომიტეტის წევრობიდგან, ის თქვენი მარჯვენა იარაღი იყო, მე მასთან ცნობაც არა მაქვს, ჩემი დაპატიმრებისა და გადასახლების შესახებ დადგენილებას, შემდგარს ხსენებული კომიტეტის მიერ, ისიც აწერს ხელს და, აბა, დღეს ჩემი აღმასრულებელი ძალა როგორ-და იქმნება? დიახ, ბეჟანსთანა „სადი ელემენტები" სხვებიც ბევრი აწერს ხელს ჩემს საბრალმდებლო განაჩენს და ეს „სისადე" ამ უკანასკნელის ნამდვილი დამახასიათებელი.

უკანასკნელ, ბ. რუბენ, გთხოვთ გარკვევით წამოაყენოთ ბრალდებანი ჩემს წინააღმდეგ ფაქტების დასახელებით, რომ შევიძლო შესაფერი პასუხი გაგცეთ და მით სამედიატორო სამართალში გამოგიწვიოთ, თორემ მეყო თქვენგან ამდენი უსამართლობა!

ბოლოს უნდა მოგახსენოთ, რომ ლეჩხუმში დღეს მშვიდობიანობა ჰსუფევს და ხალხი ახალი მმართველების ხელში შედარებით თავისუფლადა ჰგრძნობს თავსა. რას ნიშნავს ეს ამბავი?

სიმდაბლით დეკ. ი. მარგიანი.


კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატის მიერ ნებადართულია სამ თვიური

# იურიდიული კურსები

## ნაფიც ვექილ ნ. ნ. მაქსიმოვის ხელმძღვანელობით

კურსების მიზანია: 1) იურიდიულ მეცნიერებათა სწავლება, 2) იმ პირთა მზადება, ვისაც ჰსურს იმსახუროს სახელმწიფო, საზოგადო თუ კომერციულ დაწესებულებათა შორის. პროგრამა: სისხლისა და სამოქალაქო უფლებათა საფუძვლები; სისხლისა და სამოქალაქო პროცესები; სახელმწიფო და სადმინისტრაციო უფლებათა მოკლე კურსები; სათამასუქო და სავაჭრო უფლებები; საქალაქო და საერობო დებულებანი; წესდება მილიციის შესახებ; კოოპერაციის კურსები. სასყიდელი თვითეულ კურსისა 200 მანეთი, რისაც ორჯერადად შეიძლება შემოიტანონ. ჩაწერა შეიძლება ელისაბედის ქუჩაზე, № 67, საღამოს 5—7 საათზე. მეცადინეობის დაწყების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (5—1587—3)

# ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

ახალი წიგნი

გრიგოლ ვეშაპელი.

# საქართველო და რუსეთი

(მეფე ერეკლეს პოლიტიკა)

საქართველოს ისტორიული საზღვრების რუქით.

ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.

წიგნი იყიდება: „საქართველოს" კონტორაში და კიკნაძის „ნოვაია რეჩის" და „წერა-კითხვის" წიგნის მაღაზიაში.

მომხმარებელ საზოგადოების

# „დახმარების"

გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ საზოგადოების საქმე გაფართოვდა და ამ კვირით, აღდგომის წინა დღეებში, გაიხსნა განყოფილება

მთავარი მაღაზია მოთავსებულია ერევნის მოედანზე, ყოფილ ძმ. ფორაქიშვილების მაღაზიაში, ხოლო განყოფილება—ოლღას ქუჩაზე,—იქ, სადაც დღეს იმყოფება „დახმარება".

საზოგადო კრების დადგენილებით თითო წევრმა უნდა გადიხადოს 5 მ. საწევრო ფული და 50 მ. საპაიო გადასახადი. წინად მიღებული ფული ჩაითვლება ამ თანხაში, ისე რომ ვისაც გადახდილი აქვს 13 მანეთი, უნდა სასწრაფოდ შემოიტანოს დანარჩენი 42 მანეთი.

ფულის შეტანა და წევრად ჩაწერა შეიძლება დღეიდან ორივე ზემოხსენებულს მაღაზიაში. აგრეთვე: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (ივ. ბუღლიშვილთან) და გაზეთ „საქართველოს" კანტორაში (ეგენი ზიზიპკორთან).

ერევნის მოედანზე მაღაზია გაიღო აღდგომის წინა დღეებში.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

# სამკურნალო

უოვილგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ს. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანის

სავადმყოფოში იღებენ კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კრონჩინი" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კრონჩინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება— საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

დარიგება მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ხამკურნალო კაბინეთი ექიმ

## ალექსანდრე დავითის ძის

# კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოვაია" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

# მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვის და ხახვლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბო-მონდის" პირდაპირ. თ—1018—28

ექიმი

# ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მუცლის (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მიხამართი: მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—19

ექიმი

## დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

# ყორდანია

სწავლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული ჰმლარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირას გარდა. გორის ქუჩა № 6, დიღმის. ტელეფონი 14—37 1ი—960—36

დოქტორი მედიცინისა

## მოსე ანთიმოსის ძე

# კალანდარიშვილი

უმეტესად ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 6—7. ტელ № 17—21.


სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა გაბაევის შესახვევი № 4.